




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები
იანვარი, 2020





მოკლე შეჯამება

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის იანვარში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა 5.1%
- წლიურმა ინფლაციამ იანვარში შეადგინა 6.4 %, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.4 %
- იანვარში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 10 %-ით
- იანვარში იმპორტი გაიზარდა წლიურად 4.8 %-ით
- 2020 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 17.6 %-ით



ეკონომიკური ზრდა

2020 წლის იანვარში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 5.1 პროცენტი, ხოლო 2019 წლის საშუალომ - 5.2 პროცენტი. 2019 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5.3 პროცენტით განისაზღვრა. 2020 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა, უძრავი ქონება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები, ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ელექტროენერჯის მიწოდება და მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა. ხოლო კლება დაფიქსირდა სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში.


ფასების დონე

2020 წლის იანვრის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 6.4 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 4.4 პროცენტზე დაფიქსირდა. აქციზის განაკვეთის ცვლილების ეფექტი ასევე ასახული იქნება 2020 წლის ინფლაციაზე. თამბაქოს ფასის ცვლილების ეფექტი 2020 წლის იანვრის ინფლაციაში 0.6 პუნქტს შეადგენს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+11.3%), ალკოჰოლურ სასმელსა და თამბაქოზე (+11.2%), სასტუმროებსა და რესტორნებზე (+8.2%). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის (-3.3%) და კავშირგაბმულობის (-1.2%) კატეგორიებში.


ამავე დროს, 2020 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინლფაციამ შეადგინა 0.7 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიის ფასის მომატებამ (+2.3%) და დასვენებასა და გართობის ჯგუფის ფასის შემცირებამ, (-4.5%).

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2020 იანვარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020 იანვარი



წყარო: საქსტატი

საბარემო ვაჭრობა

დიაგრამა 4: ექსპორტის წლიური ცვლილება



წყარო: სასტატატი

2020 წლის იანვარში ექსპორტის წლიურად გაიზარდა 10 პროცენტით და გაუტოლდა 262 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 4.8 პროცენტით და გაუტოლდა 625 მლნ აშშ დოლარს, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 1.4%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 362.3 მლნ აშშ დოლარს.


ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა. 2020 წლის იანვარში ექსპორტის რეალურმა ზრდამ 6.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ მხოლოდ 3.9 პროცენტი.

2020 წლის იანვარში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი შემცირებულია 0.4 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტი და შუალედური საქონლის იმპორტი გაიზარდა 1.8 პროცენტით 3.4 პროცენტით შესაბამისად.

2020 წლის იანვარში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 51.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 19.7 პროცენტი), მეორე ადგილზე - სპილენძის მადნები და კონცენტრატები 49.4 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 18.8 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ძვირფასი ლითონების მადნები 16 მლნ. აშშ დოლარით (6.1 პროცენტი). უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020 წლის იანვარში შეადგინა ნავთობის აირების ჯგუფმა, რომლის იმპორტმა 56.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.2 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობი და ნავთობპროდუქტები 51.6 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 8.3 პროცენტი) და მსუბუქი ავტომობილები 50 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.1 პროცენტი).


2020 წლის იანვარში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ ჩინეთი (44.4 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 17%), აზერბაიჯანი (44 მლნ. აშშ დოლარი, 17%) და რუსეთი (33.4 მლნ. აშშ დოლარი, 12.7%). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (97.6 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი იმპორტის 15.6%), რუსეთი (72.6 მლნ. აშშ დოლარი, 11.6%) და ჩინეთი (65 მლნ. აშშ დოლარი, 10.4%).

დიაგრამა 5: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: სასტატატი

დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცი



წყარო: სასტატატი




ტურიზმი

2020 წლის იანვარში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 526 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის იანვართან შედარებით 17.6 პროცენტით მეტია. ეს ზრდა განპირობებულია როგორც ტურისტული ვიზიტების (ტურისტების რაოდენობა 18.9 პროცენტით არის გაზრდილი), ასევე ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა 21.9 პროცენტით. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 17.6 პროცენტით გაიზარდა და 193.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შეფარდებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

ფულადი გზავნილები


2020 წლის იანვრის წმინდა ფულადმა გზავნილებმა 107.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7 პროცენტთან წლიურ ზრდას გულისხმობს. იანვარში გზავნილები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იტალიიდან (3.4 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში), უკრაინიდან (1.4 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში), საბერძნეთიდან (1.4 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში) და აშშ-დან (1.2 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში). შემცირდა ფულადი გზავნილები რუსეთიდან და თურქეთიდან -8.3 და -24.6 პროცენტით შესაბამისად (-1.8 და -1.2 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში). 2019 წელს გზავნილები რუსეთიდან და თურქეთიდან შემცირდა 6.2 და 10.4 პროცენტით შესაბამისად, რამაც დაიკავა -1.8 და -0.7 პროცენტთან წვლილი მთლიან ზრდაში. ამავე დროს, 2019 წელს, გაიზარდა გზავნილები პოლონეთიდან (70.5 % და 0.8 პროცენტთან წვლილი), ყაზახეთიდან (65.4 % და 0.7 პროცენტთან წვლილი), უკრაინიდან (49.1 % და 0.9 პროცენტთან წვლილი), იტალიიდან (24 % და 2.9 პროცენტთან წვლილი), გერმანიიდან (20.1 % და 0.5 პროცენტთან წვლილი), საბერძნეთიდან (12.7 % და 1.4 პროცენტთან წვლილი), აშშ-დან (11.8 % და 1.2 პროცენტთან წვლილი).

დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 8: ტოპ ქვეყნები, ტურიზმი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 9: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ბაცვლითი კურსი

დიაგრამა 10: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

31 იანვრის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 6.7 პროცენტით არის გაუფასურებული. ხოლო 2018 წლის 1 იანვართან შედარებით კი 0.9 პროცენტით გამყარებული. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, იგი 1.7 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 1.6 პროცენტით გამყარებული 2018 წლის იანვართან შედარებით.

ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საშუალოვადიანი ტრენდიდან 5.3 პროცენტით არის გაუფასურებული, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლით კურსი - 2.6 პროცენტით.

დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	31 იანვარი, 2020	31 იან 2020 - 1 იან 2019	31 იან 2020 - 1 იან 2018
ევრო	3.1868	▼ -12.3%	▼ -18.0%
აშშ დოლარი	2.8934	▼ -8.5%	▼ -17.2%
თურქული ლირა	0.4836	▲ 55.2%	▲ 69.4%
რუსული რუბლი	0.0459	▼ -6.3%	▼ -29.2%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	119.24	▼ -6.7%	▲ 0.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი, 2020)	117.53	▼ -1.7%	▲ 1.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ნაერთი ბიუჯეტის შესრულება


2019 წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 11 417.8 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.7 პროცენტით (911.5 მლნ ლარი) მეტია. 2019 წლის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 11 310.0 შეადგენს, ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 1.0 პროცენტით მეტია, რაც 107.8 მლნ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება 2020 წლის იანვარს, გადასახადების იანვრის საპროგნოზო მაჩვენებელი 868.0 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის იანვრის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 13.2 პროცენტით მეტია, რაც 983.0 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 417.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (388.0 მლნ ლარი) 107.6%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 92.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68.0 მლნ ლარი) 136.6%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 420.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (436.0 მლნ ლარი) 96.4% ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 68.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (74.5 მლნ ლარი) 92.0%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 5.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.5 მლნ ლარი) 105.5%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია -0.5 მლნ ლარი. სხვა გადასახადი შეადგენს -21.3 მლნ ლარს.


2020 წლის იანვარიში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდა 6.6%-ით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 17.9%-ით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 110.3 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -6.1 მლნ ლარით.

დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 12: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



სახაზინო ფასიანი ქაღალდების კორტეჟი

დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2020 წლის იანვარში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური ემისიით 300 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.227% შეადგინა. გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 252 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.

პორტფელის შემოსავლიანობა შედარებით მნიშვნელოვნად 6 თვიან, 12 თვიან და 2 წლიან სახაზინო ფასიან ქაღალდებზე შეიცვალა.


2020 წლის 31 იანვრისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 39% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების გადანაწილება დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით შემდეგია. მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (დეკემბერი 2.27) შედარებით გაიზარდა და 2.46 შეადგინა.

დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



კერძო სექტორის დოლარიზაცია



სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2020 წლის იანვრისთვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 58.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 29.7 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 44.7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის იანვრისთვის სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 33.8 პროცენტს.

დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის იანვრისთვის მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 36.1 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 50.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 24.5 პროცენტს.



მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის იანვრისთვის გაუტოლდა 46.3 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 33.7 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია - 31.3 პროცენტი.

დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




სმსხმების მიმოხილვა

დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის იანვარში 2019 წლის იანვართან შედარებით 14.9 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 21.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 9.6 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის იანვარში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.2 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 7.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელის ზრდამ 14.9 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის იანვრისთვის იპოთეკური სესხების წლიური წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 19.6 პროცენტი შეადგინა. ხოლო სამომხმარებლო სესხების წლიურმა ზრდამ შეადგინა 9.8 პროცენტი.

დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის იანვარში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 13 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა - 17 პროცენტს.



2020 წლის იანვარში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 23 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 7 პროცენტს.




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2019 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის შესახებ, 4 სექტემბერს 6.5-დან 7 პროცენტამდე, ხოლო 25 სექტემბერს რიგგარეშე სხდომაზე 7.5 პროცენტამდე. ამავე დროს, მოხდა მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება ოქტომბერშიც. კერძოდ, 23 ოქტომბერს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 1 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 8.5 პროცენტი. ხოლო 11 დეკემბერს განაკვეთი გაიზარდა და გაუტოლდა 9 პროცენტს. ხოლო 2020 წლის 29 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 9.0%-ზე დატოვების შესახებ. აღნიშნული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავს მიზნად, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის გამკაცრება გაგრძელდება მომავალშიც, ინფლაციაზე გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლის აღმოფხვრამდე.


დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა



დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საპროცენტო განაკვეთები

დიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წლის იანვრისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 8.6 პროცენტს უტოლდება.


2020 წლის იანვრისთვის იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.8 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.7 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.5 პროცენტს.

2020 წლის იანვრისთვის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 20.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.0 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.2 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის იანვრისთვის, 16.6 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.6 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის იანვრის ბოლოს 12.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 6.8 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 12.1 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.4 პროცენტი.

დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკას.